

სამართლებრივ ადვოკატთა ასოციაცია  
GEORGIAN BAR ASSOCIATION

WWW.GBA.GE



*GBA-Newsletter*

ივნისი 2017

ზაზა ხატიაშვილი ევროპის ადვოკატთა ასოციაციების  
და სამართლის საბჭოს-(CCBE) მიერ წლის  
უფლებადამცველად დასახელდა



ბრიუსელში, ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საბჭოს (CCBE)-ის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, CCBE-ის ადამიანის უფლებათა ძალზედ საპატიო ჯილდოს 2017 წლის მფლობელად ზაზა ხატიაშვილი დაასახელა. ჯილდოს ოფიციალური გადაცემა ნოემბერში, CCBE-ის პლენარულ სესიაზე, საზეიმო ვითარებაში გაიმართება.

ჯილდოს გადაცემა, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის პრინციპების, ადვოკატის ინსტიტუციურ განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის წელიწადში ერთხელ ხდება.

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო- (CCBE) წარმოადგენს 32 წევრი და 13 შემდგომში ასოცირებული და დამკვირვებელი ქვეყნის ასოციაციებსა და იურიდიულ გაერთიანებებს, შესაბამისად, ერთ მილიონზე მეტ ევროპულ ადვოკატს. CCBE არის ევროპული გაერთიანებებისა და იურიდიული საზოგადოებების წარმომადგენელი ევროპულ და საერთაშორისო ინსტიტუტებში, რომელიც ევროპის მასშტაბით იბრძვის ადვოკატთა როლის გაძლიერებისათვის, ადვოკატთა ორგანიზაციების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და დამოუკიდებელი, ხარისხიანი მართლმსაჯულების მიღწევისათვის.

**დავით ასათიანი - კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩაიწერა, რომ ადვოკატის საქმიანობის შეუფერხებელი განხორცილება გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონით**



საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები პირველი მოსმენით მიიღო. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრის დავით ასათიანის განმარტებით: „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში. ჩვენ ვმონაწილეობდით ადამიანის უფლებებისა და მართლმსაჯულების რეფორმების სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. შემიძლია გითხრათ, რომ ადამიანის უფლებების სტანდარტებისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ხარისხის გაძლიერების თვალსაზრისით, კონსტიტუცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ეს იქნება მსოფლიოში მესამე ქვეყნის კონსტიტუცია, რომელშიც ადვოკატის როლი და მისი დამოუკიდებლობა კონსტიტუციით იქნა განმტკიცებული. საკონსტიტუციო კომისიამ და აწ უკვე პარლამენტმა პირველი მოსმენით გაიზიარა ჩვენი ინიციატივა და კონსტიტუციის 31-ე მუხლში დაფიქსირდა მხარის უფლება, რომელიც სამართალწარმოებაში წარმოდგენილი

იქნება ადვოკატის მეშვეობით. ამავე მუხლში განისაზღვრა ადვოკატის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლებაც, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ადვოკატებს, ყოველგვარი უკანონო ჩარევისა და ხელშეშლის გარეშე თავისუფლად და ეფექტურად დაიცვან მოქალაქეების, ბიზნეს-კომპანიების, კლიენტების ინტერესები.

კონსტიტუციაში მკაფიოდ ჩაიწერა, რომ ადვოკატის საქმიანობის შეუფერხებელი განხორციელება გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონით, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც სამართალდამცავი თუ ადმინისტრაციული ორგანოები, ვერც სახელისუფლებო, პოლიტიკური ანდა სხვა გავლენიანი ჯგუფები ვერ შეძლებენ ზეგავლენა მოახდინონ ადვოკატზე და ჩაერიონ მის საქმიანობაში, ხოლო თუ მაინც ადგილი ექნება ადვოკატის მიმართ გადაცდომას, ეს იქნება მკაცრად აღკვეთილი. აღნიშნული საკონსტიტუციო გარანტიები უპირველესად მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის და ხარისხიანი მართლსაჯულების განხორციელებისათვის. ეს ცვლილებები, ასევე, ხელს შეუწყობს მთლიანად, იურიდიული პროფესიის გაძლიერებას.

ეს არის მნიშვნელოვანი გარანტია, რაც არავის მისცემს საშუალებას, რომ ადვოკატის უფლებები რაიმე ფორმით შეზღუდოს ან ადვოკატზე ზეწოლა განახორციელოს. ეს ძალზედ საჭიროა ინსტრუმენტია ადვოკატისათვის, რადგანაც ხშირ შემთხვევაში ადვოკატს უხდება ოპონირება ძლიერ და გავლენიან სახელმწიფო ინსტიტუტებთან, ადვოკატები იცავენ მძიმე დანაშაულში ბრალდებულ, საზოგადოებაში არაპოპულარულ ადამიანებს, რომელთაც ხშირად უპირისპირდება გაბატონებული საზოგადოებრივი აზრი, წინასწარგანწყობილი მედია ჯგუფები და ამ დროს ადვოკატის პიროვნების დაცულობა და მისი ხელშეუხებლობა მნიშვნელოვანია.

ახალი საკონსტიტუციო ცვლილების მონაპოვარია ისიც, რომ ადვოკატთა ასოციაცია კვლავაც იქნება თვითმმართველი, თვითრეგულირებადი და დამოუკიდებელი ორგანიზაცია. თუ მომავალში რომელიმე ხელისუფლებას გაუჩნდება სურვილი, რომ ადვოკატთა დამოუკიდებელი ასოციაცია რაიმე ფორმით შეზღუდოს, დაანაწევროს ან დაშალოს, რისი პრეცედენტებიც არაერთხელ გვქონდა ახლო წარსულში, იგი ამას ვეღარ შეძლებს. ჩვენ გვქონდა სამწუხარო მაგალითები, როცა დამოუკიდებელი ადვოკატთა ასოციაციის შექმნიდან მალევე, მაშინდელი ხელისუფლება ცდილობდა რამდენიმე ასოციაციის შექმნით დაესუსტებინა და დაეკნინებინა საადვოკატო პროფესია. კონსტიტუციაში შეტანილი ამ ცვლილების შემდეგ, ეს შეუძლებელი გახდება ასეთი მაღალი კონსტიტუციური გარანტიების გამო. ამიტომაც, ეს კონსტიტუციური დებულება ძალიან მნიშვნელოვანია ადვოკატთა დამოუკიდებელი კორპუსის არსებობისათვის“.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე,  
პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის მიწვევით  
ვარშავაში იმყოფებოდა



22 და 23 ივნისს ქალაქ ვარშავაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში იღებდა მონაწილეობას, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ადვოკატის როლის გაძლიერებას ეხება.

საერთაშორისო კონფერენცია, სპეციალური სტუმრის სტატუსით ზაზა ხატიაშვილმა გახსნა, სადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ადვოკატთა მძიმე მდგომარეობაზე გაამახვილა ყურადღება, მან მონაწილე ქვეყნებს მოუწოდა შეიქმნას ადვოკატთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო კომისია, რომლის მუშაობაში თვითონ მიიღებს მონაწილეობას. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის განცხადებით, მანამ სანამ დაუსჯელად დადიან სამართალდამცავი ორგანოს მუშაკები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის პროცესში თავს ესხმიან ადვოკატებს, საჭიროა პერმანენტული ბრძოლა ადვოკატის უფლებების დაცვისთვის.

ზაზა ხატიაშვილმა ძალიან ბევრ შეკითხვას უპასუხა ადვოკატების გიორგი მდინარაძის და ალექსანდრე ფირცხალაიშვილის საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც პოლიციის მუშაკების უკანონო მოქმედებების შედეგად არაადამიანური და არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლნი გახდნენ. საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებმა მზადყოფნა გამოთქვეს ჩაერთონ ადვოკატ გიორგი მდინარაძის და ალექსანდრე ფირცხალაიშვილის უფლებების დაცვაში.

## სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხების შესახებ, ადვოკატთა, მოსამართლეთა და პროკურორთა ერთობლივი დისკუსია გაიმართა



5 ივნისს, ბათუმში სასტუმროში „რედისონი“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვევით გაიმართა მრგვალი მაგიდა-დისკუსია მოსამართლეებს, პროკურორებს და ადვოკატებს შორის (Bench-Bar შეხვედრები). ეს არის მსგავსი შეხვედრების რიგით მეექვსედიე ღონისძიება, სადაც სამივე პროფესიისთვის აქტუალური საკითხები განიხილეს: ბრალდებულის პირველი წარდგენა და აღკვეთი ღონისძიება - პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა, მტკიცებულებათა დასაშვებობა, კომპიუტერულსისტემაში/მონაცემთაშესანახსაშუალებაშიარსებულიინფორმაციის/ დოკუმენტისგამოთხოვისპრობლემატურისაკითხები,

Bench-Bar შეხვედრას და მუშაობას ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი უძღვებოდა. აღინიშნა, რომ ასეთი ღონისძიებები, სხვადასხვა იურიდიული პროფესიების

ჩართულობით, აუცილებელია ქვეყანაში ხარისხიანი მართლმსაჯულების დამკვიდრებისათვის. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს აჭარის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებმა.

შეხვედრები ხორციელდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფინანსური მხარდაჭერით. მსგავსი შეხვედრები უკვე ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: ქუთაისი, ბათუმი, ანაკლია და მომავალშიც იგეგმება.

## სასწავლოცენტრი 2017 წლის ივნისში განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი

1 ივნისი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;

1 ივნისი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები;

1-2 ივნისი – TOT - სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გარიგების ფორმა და საცილო გარიგებები;

2 ივნისი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

5 ივნისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

5-6 ივნისი – TOT - სანივთო სამართალი (გირავნობა/იპოთეკა, საკუთრების აღიარებისა და რეგისტრაციის საკითხები;სამეზობლო სამართალი);

6 ივნისი – საგადასახადო სამართალი;

6-7 ივნისი – TOT - ადმინისტრაციული სამართალწარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში: არანებაყოფილობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსება და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები; კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ;

6-7 ივნისი – შეწყნარებლობასთან ბრძოლა;

7 ივნისი – სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

8 ივნისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები;

8-9 ივნისი – TOT - ახალი ცვლილებები სამოქალაქო 12კოდექსში (კერძოდ: საპროცენტო განაკვეთი, უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი სესხები, საბანკო კრედიტი);

9 ივნისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;

12 ივნისი – საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;

12 ივნისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;

12 ივნისი – ვადები და ხანდაზმულობა;

13 ივნისი – საგადასახადო სამართალი;

14-15 ივნისი – სამართლიანი სასამართლო განხილვა;

15 ივნისი – ეკონომიკური დანაშაული;

16 ივნისი – ხელშეკრულებიდან გასვლის და ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი რეგულირება;

16-17 ივნისი – TOT - კანონი საჯარო სამსახურის შესახებ: შვებულება და ხელშეკრულებები, საჯარო სამსახურის შესახებ კანონისა და შრომის კოდექსის მსგავსებები და განსხვავებები საჯარო სამსახურთან მიმართებაში;

17 ივნისი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა;

- 19 ივნისი – სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერა: განცხადების, შუამდგომლობები, საჩივრების, შესავალი და დასკვნითი სიტყვების და სხვა დოკუმენტების მომზადება;
- 19-20 ივნისი – TOT - მემკვიდრეობითი სამართალი;
- 19-20 ივნისი – TOT - საპროცესო დოკუმენტების (შუამდგომლობების) დასაბუთება;
- 20 ივნისი – პატიმრობის კოდექსი: სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის აღსრულება;
- 21 ივნისი – საკუთრების უფლების გადაცემის ხელშეკრულების რეგულირება სასამართლო პრაქტიკაში;
- 21 ივნისი – ინტერნეტ სამართალი - მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების ვალდებულებები;
- 21-22 ივნისი – TOT - სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ქმედების კვალიფიკაციის აქტუალური საკითხები;
- 22 ივნისი – ვადები და ხანდაზმულობა;
- 23 ივნისი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში;
- 23 ივნისი – სამართლებრივი დოკუმენტების მართლწერა: განცხადების, შუამდგომლობები, საჩივრების, შესავალი და დასკვნითი სიტყვების და სხვა დოკუმენტების მომზადება;
- 27-28 ივნისი – TOT პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა;
- 28-30 ივნისი – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

**ქუთაისი**

- 2-3 ივნისი – ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;
- 9 ივნისი – კლიენტთან ინტერვიუს ჩატარების თავისებურებანი: კლიენტთან ინტერვიუ, ეფექტური კომუნიკაცია, პირველი შეხვედრა კლიენტთან, საქმის ანალიზი, დაცვის პოზიციის/სტრატეგიის ფორმირება;
- 10 ივნისი – ინტერნეტ სამართალი - მომხმარებელთა უფლებები და კომპანიების ვალდებულებები;
- 16 ივნისი – ეკონომიკური დანაშაული;
- 19 ივნისი – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები.

**ბათუმი**

- 6-9 ივნისი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო;
- 14 ივნისი – ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა;
- 20 ივნისი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.

## 2017 წლის ივნისში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

**თბილისი**

- 3 ივლისი – აღკვეთი ღონისძიებები;
- 4 ივლისი –საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები
- 4-7 ივლისი –ტრენერთა ტრენინგი უნარ-ჩვევებში;
- 5-7 ივლისი –არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
- 6 ივლისი –სანივთო სამართალი;
- 7 ივლისი –მტკიცებულებების მოპოვება დაცვის მხარის მიერ;
- 10 ივლისი –ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 10 ივლისი –ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები;
- 10-11 ივლისი –სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ქმედების კვალიფიკაციის

აქტუალური საკითხები;

13 ივლისი –სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

14 ივლისი –მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში;

17 ივლისი –სამართლებრივი დასაბუთება და მართლწერა;

17-19 ივლისი –არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

ქუთაისი

4 ივლისი –პატიმრობის კოდექსი: სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის აღსრულება;

12-13 ივლისი –დაქტილოსკოპია, ტრანსოლოგია, ბალისტიკა;

14-15 ივლისი –ცალკეულ დანაშაულთა საგამომიებო მეთოდოლოგია;

16 ივლისი –მედიაცია;

23-25 ივლისი –არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

ბათუმი

17 ივლისი –მედიაცია;

17-18 ივლისი –ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;

19-20 ივლისი –ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მნიშვნელოვანი ასპექტები;

25 ივლისი –ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი, პაციენტის უფლებები;

26 ივლისი –ვადეები და ხანდაზმულობა.

სენაკი

1 ივლისი –მედიაცია.

ზუგდიდი

2 ივლისი –მედიაცია.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708 ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocenri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33

### თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: [info@gba.ge](mailto:info@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: [info.qutaisi@gba.ge](mailto:info.qutaisi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: [info.telavi@gba.ge](mailto:info.telavi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: [info.batumi@gba.ge](mailto:info.batumi@gba.ge)

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

### საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: [education@gba.ge](mailto:education@gba.ge) / [sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33